ცნობის ფურცელი

№ 2114 ხუთშაბათი, 3 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2114

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-106 №-რი.

ეკატერინე გრიგოლის ასული, არჩილი, სიმონი და ლევან ციხისთავები, მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი—ძვირფასის მეუღლისას, ხოლო უკანასკნელნი—მამისას

სოლომონ ციხისთავისას,

უმორჩილესად სთხოვენ 3 აპრილს საათის 9-ზე დაესწრნენ გარდაცვალებულის გამოსვენებას ფსავროვის სახლიდან. (სურფ-კარაპეტის აღმართი, № 7). წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და იქიდან დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზე. (1—1)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ“

საერთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. ტელეფონი 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—16)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ზედგენიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მ. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღლინი. ყურის, ყელის და ცხვირის 8—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ნ. ზ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუხსელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

ლ. ა. ზედგენიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. განხვიტოვი. შინაგანი, ნერვების და ბავშვების: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

ექ. შ. **ბოლტოლევსკი**—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

ბ. ზ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

საავადმყოფოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილისა, №-21. (ალექსის ქუჩის დასაწყისში.)

ტელეფონი № 274 (7.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აცხადებს გუბერნიის თავად-აზნაურთა საყურადღებოდ, რომ 1902 წელს 10 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის მე 6 და მე-7 მუხლების თანახმად, თავად-აზნაურებმა თავიანთი განცხადებანი იმ შეცდომების შესახებ, რომელსაც გამოცხადებულ სიებში შეამჩნევენ, უნდა გადასცენ წინამძღოლთა და დეპუტატთა კრებას ამა წლის 12 აპრილისათვის. თუ ვინიცობაა, ასეთი განცხადებანი პატივსადებ მიზეზის გამო ვერ გადაეცა წინამძღოლთა და დეპუტატთა კრებას, იმ შემთხვევაში გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას უნდა გადაეცეს შუამდგომლობა იმის გამოსარკვევად, უფლება აქვს თუ არა თავად-აზნაურს მონაწილეობა მიიღოს ამ საგუბერნიო კრებაში. მე-12 მუხლის თანახმად თავად-აზნაურთა კრებას უფლება აქვს დააჯარიმოს, როგორც ამავე მუხლშია აღნიშნული, ის თავად-აზნაური, რომელიც მოვალეა დაესწროს კრებას, მაგრამ კი არ გამოცხადდა. (1—1)

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა

წლიური კრება

დანიშნულია 1903 წ. 20 აპრილს დილის 10 საათზე, ს. კუხში.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1902 წლის ანგარიშისა,
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება,
3) შემოღება წარმომადგენელთა საზოგადო კრებისა,
4) გამგეობის მოხსენება მომავალ წლის ოპერაციის შესახებ,
5) სესხის აღების ნება-რთვა,
6) დამტკიცება მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და
7) არჩევა გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

ამხანაგობის გამგეობა:
თავმჯდომარე ზ. მდივანი.
წევრი ერ. კაწმარაშვილი.
გამგე ნ. წერეთელი.
(6. 5—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ოლისაშვილის ქუჩა, 38. (წო.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. სააგენტოს დეპეშების საშუალებით ვიცით მოკლედ დრეიფუსის საქმის განახლების ამბავი. ეხლა გაზეთებში მოყვანილია უფრო ვრცელი ანგარიში საფრანგეთის პარლამენტის იმ სხდომისა, რომელზედაც ჟორესმა აღძრა ლაპარაკი ამ საქმეზე.

მორიგი საქმე, რომელზედაც მსჯელობა უნდა ჰქონებოდათ დეპუტატებს, დეპუტატ სივეტონის არჩევანის კანონიერება იყო. სხვათა შორის ტრიბუნაზე ავიდა ჟორესიც, რომ სივეტონის წინააღმდეგ ელაპარაკა. ამ დროს სხდომის დარბაზი თითქმის ცარიელი იყო, მაგრამ როგორც კი ჟორესმა დაიწყო ლაპარაკი, დარბაზი უცბად აივსო. სამინისტროს წევრებიც თითქმის უკლებლად იყვნენ. დიდი სიჩუმე იყო და ორატორს გაფაციცებით უგდებდნენ ყურს.

მე წინააღმდეგი ვარ სივეტონის არჩევანის დამტკიცებისაო, სთქვა ჟორესმა. სივეტონი თავის საარჩევანო აფიშებში სამინისტროს „უცხოეთის“ სამინისტროს ეძახდა და ამტკიცებდა, რომ მთავრობას ჰსურდა ძალა დაეტანებინა რენის სასამართლოსათვის და გაემართლებინა დრეიფუსი, მაგრამ გალიფემ შეუშალა ხელიო. „პალატის წინ წამოყენებულია საკითხი, შეიძლება თუ არა ასეთ ცილისწამებათა მეტი მოთმენა. რესპუბლიკელებს უფლება აქვთ ენერგიულის იერიშით მივიდნენ მტრებზე. ჩვენ უნდა ვუთხრათ ნაციონალისტებს, რომ მათ ყველაზე ნაკლები უფლება აქვთ, ასეთი ბრალდება წამოაყენონ სხვების წინააღმდეგ: უცხოელების პარტია ის არის, ვინც მთელი ოთხი წლის განმავლობაში დამყარებულია უცხოელ ხელმწიფის ყალბ ხელ-მოწერაზე. სრული ოთხი წელიწადია კლერიკალებისა და ნაციონალისტების ჟურნალ-გაზეთები განუწყვეტლივ გაიძახიან, რომ არსებობს ვილჰელმ მეორის წერილი, რომელიც ცხადლივ ამტკიცებს დრეიფუსის დანაშაულსო“. შემდეგ ჟორესმა მოიყვანა ვითომდა ვილჰელმის წერილი იმ სახით, რა სახითაც იგი „ლიბრ-პაროლ“-ში იყო გამოქვეყნებული. ვილჰელმი უგზავნის უკან ბორდეროს და სწერს შვარცკოპენს,

ფელეტონი

გახუნებულ აზნაურის წერილები

III

ნეტავ, რა არის ხალხის სული?—ვეკითხებოდი ჩემს თავს, როცა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე მივდიოდი და ვუახლოვდებოდი საზოგადოების სახლსა, რომელიც განმარტოებული დგას წყნარ, მიძინებულ საქალაქო ბაღში, წინა პირით კი ცოცხალ, ხალხით სავსე ქუჩას უცქერის.

იქაც ჩემ სოფელში, ზამთარში, წყნარ საღამოობით ხშირად დაუფიქრებივარ ამ კითხვას. იქით, დაბლა, სპეტაკ თოვლის კანით გადაფარებულ გლეხების სახლებისკე მივიბრუნებდი პირსა და მაღალ ბუხრებიდან წვრილად ამოსულ შავ ბოლს თვალს ვადევნებდი, მაგრამ სიჩუმე, საიდუმლო და სამარისებური სიჩუმე არაფერ პასუხს არ მაძლევდა. ნეტავ, რა ხდება იქა, ამ თოვლ მიყრილ სოროებში; ნეტავ, რა ლაპარაკი აქვთ ბოლიან ბუხრებ წინ? ასე ახლოა ეს ცოცხალ კაცთა საცხოვრებელი და ერთი ხმა რა არის, ერთი ხმაც კი არ მოდის ჩემ ყურამდე! რადგა ასე,—ამის მიზეზი მეც არ ვიცოდი. ვიდეგ ჩემს აივანზე და ვცდილობდი ყველა ეს კითხვები ამეხსნა. მეგონა, გლეხკაცის სული თითონ იგრძნობდა ჩემს გაჭირვებას, მიჰხვდებოდა, რა ძლიერ საჭირო იყო ჩემთვის პასუხი, თავაზიანად გაიღებოდა ჩემ წინ და თავის წმინდათა წმინდას წინ გადამიშლიდა. მაგრამ გლეხ-კაცის სული მაინც არ იხსნებოდა და ისევ ისე კერპად კარჩაკეტილი და საიდუმლოებით სავსე რჩებოდა.

ხან-და-ხან გლეხკაცის სახლის კარი დაჟანგებულ კოჭაკზე ჭრიალით მოტრიალდებოდა, გაიღებოდა და სინათლე წითლად ელვასავით არღვევდა ზამთრის ღამის წყვდიადსა და მყუდროებას; სინათლეზე ვინმე ნაცნობი გლეხკაცი გამოჩნდებოდა და ისევ უკუნეთში ჰქრებოდა და კარებიც ჭრიალით ისევ თავის ჩარჩოში ვარდებოდა. ხან და ხან ღამის საიდუმლო სიჩუმეში ყურამდე მოახწევდა ლაპარაკის ნაწყვეტი, ხშირად მარტო ერთი სიტყვა, და ისევ მალე ჰქრებოდა, წამზე სწყდებოდა, როგორც უცხოელ კაცის ლაპარაკის ხმა, როგორც გაუთავებელ სიმღერის ნაწყვეტი.

მაშ რა არის ხალხის სული? მარტო „ნედოიმკის“ მეტი არაფერია, განა, ამ სულში? ამ ცოცხალ ადამიანის სულში ხომ უნდა იყოს, ისეთი რაღაცა, ძლიერი, მედგარი და სიცოცხლით სავსე რაღაცა, რაც ამ კაცს მუდმივ „ნედოიმკებში“ ყოფნასა, მორჩილებასა და მოთმინებას აძლებინებს და ატანინებს. გლეხ-კაცის სულს ხომ აქვს ისეთი რაღაცა ძალა, რაც მე, აზნაურსა და მებატონეს, არა მაქვს და რაშიაც მე ჩემ შაურიან, ოქროთი მოვარაყებულ კეთილ-შობილებასა და პირველობას სიხარულით გავუცვლიდი.

როცა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გრძელ დარბაზში შეველ, იქ როგორც ფუტკრის სკაში, დიდი ხმაურობა და გუგუნი იდგა. ხან და ხან, როცა ყველანი ერთბაშად ალაპარაკდებოდნენ და ერთმანეთს სიტყვას აწყვეტინებდნენ, ქაღარა და გრაფ ტოლსტოის სურათის მსგავსი მოხუცი ხელში ზარს იღებდა და აწკარუნებდა, სინამ ხალხს არ დააწყნარებდა. მერე ისევ ერთი ვინმე დაიწყებდა ლაპარაკს.

მეგონა, როგორც მებატონეს, საკუთარ ადგილს დამიმზადებდნენ, მაგრამ ყველა სკამები ვიღაცა სამოქალაქო ტანისამოსიან ახალგაზრდა და მოხუც კაცებს დაეჭირათ; ქალებიც კი მოსულიყვნენ. თავისუფალი მარტო ცარიელი ხის სკამი იდგა ერთ კუნჭულში. მიველ, ჩემ აზნაურ-შვილურ ღირსებას აღარ დავხედე და გულ-ნატკენი ამ სკამზე ჩამოვჯექ.

ყური დავუგდე და ვცდილობდი ლაპარაკის მთავარი აზრი გამეგო. ვიფიქრე თუ არა, მთავარ აზრს მივხვდი, მეთქი, სწორედ ამ დროს ჩემი ყურადღება ერთმა კაცმა მიიზიდა. ამ კაცს უშველებელ სინით ჩაი მიჰქონდა ხალხთან. ღმერთო ჩემო, რამდენ ჩაის სვამენ აქა? ჩემს სკამზე ვიჯექ და ხელში ადუღებულ ცხელის ჩაის ჭიქა მეჭირა; ძალა უნებურად უნდა დამელია და თანაც კამათისათვის ყური დამეგდო.—გამოტეხით მოგახსენებთ, დიდს გაჭირვებაში ვიყავ ჩავარდნილი.

— მითხარით, თქვენი ჭირიმე, რაზედ ლაპარაკობენ, ვკითხე ჩემს მეზობელს, მარჯვენა მხარეს რომ იჯდა.

მეზობელს არ ესიამოვნა ჩემი მოულოდნელი კითხვა და გაჯავრებით მომიგო:

— სოფლის ხალხის კეთილდღეობის გაძლიერებაზეო.

— უკაცრავად გახლავარ შეწუხებისათვის, ვუპასუხე და მივუბრუნდი მეორე მეზობელს, მარცხენა მხარეს რომ იჯდა.

ეს მეზობელი ახალგაზრდა კაცი იყო; მხიარული და, ცოტა არ იყოს, დამცინავი სახე ჰქონდა. ალერსიანად გამიღიმა და მკითხა: სადაური ხართო.

მეც პასუხი მივეცი და ძველ ნაცნობებივით ხმა-დაბლა ლაპარაკს მოვყევით. მეზობელმა ამიხსნა: ჩაიზე შეგიძლიანთ უარი გამოაცხადოთო, ჩაის დალევა ვალდებული როდია, არც თუ ისაა ვალდებული, რომ ყველა ორატორს ყური დაუგდოთო.

— ეს მეტად სიმპატიური, კეთილი და პატრიარქალური საზოგადოებაა; ეს თითქმის ერთად-ერთი საზოგადოებაა, საიდანაც განდევნილია მოხელეობის სული. აბა ერთი შეჰხედეთ, როგორ თავისუფლად და ძალ-დაუტანებლივ ლაპარაკობენ აქ ცხოვრების საქმეებზე!..

— როგორ! განა ცხოვრების საქმეებზედაც შეიძლება აქ ლაპარაკი? ვკითხე გაკვირვებულმა.

— აქ ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი, ვისაც რაზედაც ჰსურს, მაგრამ ნამეტან ძლიერ კი არ უნდა დაშორდეს ამ კრების ძირითად საგანს, რასაკვირველია. აბა, შეჰხედეთ ამ მაღალ შკაფს, ხომ ჰხედავთ ტყავ-გა-

გერმანიის სამხედრო ატაშეს საფრანგეთში—გამოიგზავნეთ, რაც შეიძლება, ჩქარა ის დოკუმენტები, რომლებზედაც აქ არის ლაპარაკი. ყური უგდეთ, რომ ეგ უსინდისო დრეიფუსი აჩქარდეს“.

გრაფი დიონი. სამარცხვინოა ასეთ საქმის ახალი აღდგმა, რომელმაც ამოდენა ვნება მოუტანა ქვეყანას (ხმაურობა მარცხნივ). ჟორესმა განაგრძო დრეიფუსის საქმის ისტორია (კონსერვატორები და ნაციონალისტები მეტად უშლიდნენ ლაპარაკს) და სხვათა შორის სთქვა, რომ გენერალ მერსიემ და ბუადეფრმა იცოდნენ ეს ყალბი დოკუმენტი, რომელიც 1894 წელს არც კი არსებობდა და ჰანრიმ მხოლოდ 1898-ში წარმოადგინა. ამ წერილით იყო, რომ ესტერჰაზიმ საშინლად შეაშინა პრეზიდენტი ფორი; შემდეგ ეს წერილი წააკითხეს როშფორს, რომელმაც თავის გაზეთში დასწერა. „მელინის სამინისტრო იძულებული იყო მაშინ გამოეცხადებინა, რომ ასეთი დოკუმენტი სრულებით არ არსებობს. ნაციონალისტების გაზეთებს, რასაკვირველია, სასაცილოდაც არ ჰყოფნიათ მთავრობის ასეთი განცხადება. ერთ კრებაზე დეპუტატ მილვუამ გამოაცხადა, რომ საკუთარის თვალით ჰნახა ვილჰელმის წერილი. გვითხრას ბ. მილვუამ, ვინ უჩვენა ეს წერილი.

მილვუა. საპარლამენტო ტრიბუნა—აღსარების ადგილი არ არის და არც თქვენ (ჟორესს) აგირჩევდით მოძღვრად (მარცხნივ სიცილი, მარჯვნივ მოწონება).

ჟორესი. მე ვამტკიცებ, რომ მილვუამ საჯაროდ სთქვა თავისი აღსარება (დიდი სიცილია.)

შემდეგ ჟორესმა გაახსენა მილვუას მისი ქცევა ნორტონის საქმეში, როცა იგი გაბედულად და მოურიდებლად გადუდგა მეგობრებსაც კი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ისინი ცუდად მოიქცნენ, მივმართავ თქვენ (მილვუას) კეთილშობილებას და გთხოვთ, დაგვისახელოთ ის პირები, რომელთაც ვილჰელმის წერილი გიჩვენეს.

მილვუა. კატეგორიულად უარს ვამბობ რამე ვსთქვა დრეიფუსის საქმეზე (მარცხნივ სიცილი).

ჟორესი. მე ვამტკიცებ, რომ წინად ისარგებლეთ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტით, რომ ჩირქი მოგეცხოთ მთელის პარტიისათვის; ეხლა კი, როცა აღმოჩნდა, რომ ეს დოკუმენტი ყალბია, თქვენ უარს ამბობთ დაასახელოთ ის წყარო, საიდანაც შოულობდით ცნობებს. (აღტაცებული ტაშის ცემა მარცხნივ)... 1898 წელს აგვისტოში დამტკიცდა ჰანრის ყალბის მქნელობა. ამ გარემოებამ ბევრს აუხილა თვალი და ამათ შორის იყო ის კაციც, რომელმაც სხვაზე მეტი მოიმოქმედა ესტერჰაზის გასამართლებლად, რომ დრეიფუსის საქმე არ განახლებულიყო. ეს კაცი გენერალ პელიე იყო. პელიემ მისწერა მაშინდელ სამხედრო მინისტრს კავენიაკს და ეს წერილი დაუმალეს ქვეყანას, საკასაციო სასამართლოს, რენის მოსამართლეებს. იმ პირებმა, რომელნიც ახლო იყვნენ პელიესთან, როცა იგი კვდებოდა, გადმომცეს ამ წერილის სრული ტექსტი: „31 აგვისტო, 1898 წელი. ბატონო სამხედრო მინისტრო! იძულებული ვარ გამოგიცხადოთ, რომ მე შევიქენი მსხვერპლი უსინდისო პირებისა; ნდობა აღარ მაქვს არც ხელქვეითებისა, არც უფროსებისა, რომელთაც მაიძულეს მემოქმედნა ყალბ დოკუმენტის ძალით. გთხოვთ სამსახურიდან დამითხოვოთ“. (საერთო მღელვარება და ხმაურობა: მემარჯვენენი და ნაციონალისტები შეწუხებულნი გამოიყურებიან).

ბრისონი წამოდგა და მთრთოლვარე ხმით სთქვა: „მაპატიეთ აღელვება (მარჯვნივ სიცილი, მარცხნივ აღტაცებული ტაშის ცემა). 1898 წლის აგვისტოში მინისტრ-პრეზიდენტი ვიყავ და ვაცხადებ, რომ კავენიაკს სრულებით არაფერი უცნობებია მთავრობისათვის ამ წერილის შესახებ (მარცხნივ აღტაცებული და ხანგრძლივი ტაშის ცემა.)

მემარცხენენი მიიწევენ კავენიაკისაკენ და მუქარას უგზავნიან. კავენიაკი მძიმედ ადგა თავის ადგილიდან და სთქვა: „არ ვიცი, რა დასკვნა გამოგყავთ ამ წერილიდან (ხმაურობა მარცხნივ). ვიღებ ჩემ თავზე სრულ პასუხის გებას“. აღელვებული კავენიაკი სტოლს მაგრად სცემს ხელს. მემარცხენენი ლაპარაკს უშლიან; მხოლოდ მარჯვნივ ისმის აქა-იქ ტაში.

ბრისონი. მე ვამტკიცებ, რომ კავენიაკმა უკვე 14 აგვისტოს იცოდა ჰანრის ყალბის მქნელობა, მაგრამ მთავრობას მხოლოდ 31 აგვისტოს შეატყობინა. 30 აგვისტოს კავენიაკი მანსში იყო გენერალ მერსიესთან მოსალაპარაკებლად და რჩევის საკითხავად (მარცხნივ დიდი მოწონება).

შემდეგ ბრისონი მიუბრუნდა კავენიაკს და უთხრა—ამნისტიის მადლობელი უნდა იყოთ, თორემ ის რომ პარლამენტს არ მიეღო, თქვენ ღირსი ხართ, რომ პასუხის გებაში მიგცენ (დიდი და ხანგრძლივი ტაში მარცხნივ). მაგრამ თუ სასამართლოს დასჯისაგან განთავისუფლებული ხართ, ზნეობრივი პასუხის გება და დასჯა არ აგცდებათ“.

კავენიაკი ისევ წამოდგა და სთქვა, რომ მანსში არ ყოფილა მერსიესთან; თან ამტკიცებდა, რომ არ იცოდა არც ერთი დოკუმენტი. ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ კავენიაკს მსმენელების მოტყუილება უნდოდა—პელიესა და ვილჰელმის წერილებს განზრახ ერთმანეთში ურევდა. ჟორესი, რომელიც ჯერ კიდევ ტრიბუნაზე იდგა, შეეკითხა კავენიაკს: „ჩვენ ეხლა მხოლოდ პელიეს წერილზე ვლაპარაკობთ. თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს წერილი არ იცოდით?

კავენიაკი. არა, ვიცოდი (მარცხნივ ხმაურობა).

შემდეგ ჟორესმა ცოტა კიდევ ილაპარაკა და ყველასათვის მოულოდნელად სიტყვა შესწყვიტა: დაქანცული ვარ და მომეცით ნება, რომ სიტყვა ხვალ გავათავოვო. მიუხედავათ ნაციონალისტების პროტესტისა, პალატამ დააკმაყოფილა ორატორის თხოვნა. დეპუტატებ შორის დიდი აღელვებაა.

ერთის კორესპონდენტის სიტყვით, ჟორესს გარდა პელიეს წერილისა ბევრი სხვა საბუთებიც უნდა ჰქონდეს ხელში. სხვათა შორის ამტკიცებენ, რომ, გერმანიის მთავრობის ნებართვით, ეხლა საფრანგეთის მთავრობის ხელში უნდა იყოს ყველა ის საიდუმლო დოკუმენტები, რომელიც მაიორ ესტერჰაზის, ე. ი. ნამდვილ მოღალატეს, მიუყიდნია გერმანიის მთავრობისათვის.

ახალი ამბავი

◆ **ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის** სამზრუნველო კომიტეტს გადაუწყვეტია მომავალ სამოსწავლო წლიდან შეუდგეს ამ სკოლის მე-5 და მე-6 კლასების დაარსებას. სამზრუნველო კომიტეტს ამის შესახებ მოხსენება გამოუგზავნია „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობისთვის.

◆ **1 აპრილს, მოხდა შეერთებული კრება** ტფილისის ქალაქის გამგეობისა, კომისიასა და ხმოსან ტეხნიკოსთა. კრებამ განიხილა ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის საქმე. ამ გზის პატრონთ ალიბეგოვსა და ყორღანოვს კონცესიის ვადა უთავდებათ ერთის თვის შემდეგ. კრებამ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო გზის გამოსყიდვა და დაადგინა, ამოარჩიოს კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, რა პირობით შეიძლება ხსენებულ გზის გამოსყიდვა. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, მ. კ. ალიხანოვი, ანდ. ს. ღულაძე, არ. ს. ბაბოვი, ალ. ბ. ევანგულოვი და ი. ს. ალიხანოვი.

◆ საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო **საბჭოს თავისი განყოფილებანი დაუარსებია დუშეთსა და ახალციხეში.** ამ განყოფილებებმა უნდა განაგონ დუშეთისა და ახალციხის მაზრების სამრევლო სკოლების საქმეები. დუშეთის განყოფილების თავმჯდომარედ დაინიშნა მღვ. მეტრეველი, ხოლო ახალციხისა—დეკან. ხახუტაშვილი.

◆ 1 აპრილს მოხდა კავკასიის **სამკურნალო საზოგადოების კრება.** კრების დაწყებისას დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს კავკასიის მუზეის დირექტორად ნამყოფის, ახლად გარდაცვალებულის რადდეს ხსოვნას. შემდეგ კრებამ საპატიო წევრად აარჩია ცნობილი ფსიხიატრი პროფ. ბეხტერევი, რომლის 25 წლის იუბილეისაც მაისში დღესასწაულობენ. კრებამ მოისმინა ქალაქის თვით-მართველობის თხოვნა ნატახტარის წყაროების გამოკვლევის შესახებ და დაადგინა, მოსთხოვოს საჭირო მასალა ქალაქის მოურავს და დანიშნოს განსაკუთრებული კრება ამ საქმისათვის. ორიოდე უმნიშვნელო საქმის განხილვის შემდეგ, კრებამ დაადგინა, 500 მანეთი კიდევ გადასდოს ადგილობრივ ენებზე ხალხისთვის სამკურნალო წიგნაკების გამოსაცემად. საზოგადოებამ სამი წიგნაკი გამოსცა და ეხლა აპირობს ორ წიგნაკის გამოცემას კიდევ.

◆ მოახლოვდა დღესასწაულები და ჩარჩვაჭრებმაც იჩინეს თავი. ეს ვაჟბატონები, ჩვეულებისამებრ, სცდილობენ **სანოვაგის ფასის აწევას** და რაც შეიძლება მეტის გამორჩენას. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ ბოქაულებმა და პოლიციელებმა თვალ-ყური ადევნონ ბაზარში სურსათის ვაჭრობას. ასეთივე ბრძანება მიიღეს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად მიწათმოქმედების სამინისტრომ **შავი ზღვის პირად** შეიძინა ეგრედ წოდებული ხლუდოვის მამული. სამინისტროს ეს მამული დაუყვია ნაჭრებად და ეხლა სააგარაკოდ ჰყიდის. სამინისტრო ამასთან შესდგომია გზების გაყვანას, ბაღებისა და წყლის მილის გამართვას. ამ ხარჯის მიუხედავად მამულის ნაჭრებად გაყიდვის შემდეგ სამინისტროს დიდ-ძალი ფული დარჩება.

◆ **ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა** პირველ ამხანაგობის კრება დანიშნულია 20 აპრილისთვის. კრება მოხდება კუხში.

◆ 2 აპრილს **გერმანელი ტურისტები** ტფილისიდან ბათუმში დაბრუნდნენ. აქ ყოფნის დროს ტურისტებმა დაათვალიერეს ტფილისში ყველაფერი, რაც კი ყურადღების ღირსი იყო. ტურისტებს თან დაჰყვებოდა პირველ გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი განი. მგზავრები მამა-დავითის გორაზედაც კი ავიდნენ და სურათები გადაიღეს.

◆ მიწათ მოქმედების სამინისტროს გადაუცია თავის რწმუნებულისთვის 2000 მანეთამდე. ამ ფულით უნდა შეეძინათ ბამბის

მძვრალ ცხენსა?

მაღლა შევიხედე და მართლა ტყავ-გამძვრალი ცხენის ნიმუში დავინახე. ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

—მერე რა? შევეკითხე.

—ეს ცხენი—განხორციელებული სოფლის ხალხის მეურნეობაა. ჰხედავთ, რა გულ-საკლავად იყურება? რა საცოდავად გაუდგავს ფეხებ? მარტო სოფლის მეურნეობა-კი არა, ეს—ხალხის მთელი ცხოვრებაა. მე და თქვენ მრავალ საუკუნის განმავლობაში ხალხს ცოტ-ცოტაობით კანი გავაძრეთ, მერე სულიც გავატყავეთ; ჯერ ბატონ-ყმობის დროს, მერე ბატონ-ყმობის გადავარდნის დროსაც ახალ ვითომ თავისუფალ წესებით...

—მაშ თქვენც მებატონე ბძანდებით? ვკითხე ჩემ მეზობელს.

—არა, მებატონე კი არა და უარესი კი გახლავარ!.. მე ვარ—ცხოვრების მშრალი, უსიცოცხლო თეორია; არას დროს ცოცხალ საქმედ არ ვიქცევი და არც მინდა, რომ ცხოვრების და ცოცხალ კაცების ცოცხალი საქმე შევიგნო... ყველგან ვყვირი, ვითომ ჩემ კაბინეტში მშვენივრად შევისწავლე ხალხის ცხოვრება და საჭიროება; ხშირად, ჩემის უვიცობის გამო, ამ ხალხს ნამდვილ შველის მაგიერ საშიშარ ოცნებას ვაწვდი, მეგობრულ ხელის მაგიერ ჩაფრების უფროსის ტლანქ ხელს ვუშვერ და პურის მაგიერ ქვასა. შენზე უარესი ვარ, რადგან მე მკვდარი, უსულო და მშრალი ფორმალიზმი ვარ.... ამიტომაც ასე გულ-ახდით გამოგიტყდი, რომ ხალხის ცხოვრებისა არა ვიცი-რა.

—არცარა მე ვიცი!

—არც მე!

—არც მე, არც ჩვენ, არც ჩვენ ვიცით ხალხის ცხოვრება! გაისმა ყველა მხარეს. დიდი ხმაურობა ასტყდა, მაგრამ თავჯდომარის ზარის წკარუნმა ისევ ყველანი გააჩუმა.

ამ დროს ვიღაცამ მაღალის ხმით დაიწყო ლაპარაკი. ისე მეჩვენა, თითქო, ეს მაღალი ხმა იმ ადგილიდან მოდიოდა, სადაც შკაპზე გასისხლიანებულ, ტყავ-გამძვრალ ცხენის ჩონჩხი იდგა.

—საქმეც ისაა, ბატონებო, რომ ჩვენ ყველამ, აქ შეკრებილთ, სრულებით არ ვიცით ხალხის ცხოვრება, არც ხალხის სული, არც იმისი საჭიროება და დარდი. ყველანი, ეჭვი არაა, ძლიერ კეთილი და პატიოსანი ხალხი ვართ, მაგრამ ჩვენ ნამეტანი დიდი იმედი გვაქვს ჩვენის თავისა, ამიტომ ვეჭიდებით იმას, რაც არ ვიცით, გვინდა ვუშველოთ იმას, რაც ჩვენ წინ ნისლში გახვეული დგას და რისიც გაგება არ შეგვიძლიან. ხალხის ცხოვრება, მაგალითად თქვენთვის, მებატონეებისათვის, ყოველთვის, თითქო ხურჯინი იყო; ერთ თვალში გლეხ კაცის ნაოფლარი, გემრიელი ხაჭაპური, ქადა და ნაზუქები ეწყო, მეორეში კი—გლეხის ჯაფით სავსე ცხოვრების მძიმე ლოდები და ქვები. თქვენ, ბატონებო, მარტო ხურჯინის პირველ თვალზე აჭყეტდით თვალებს, ყოველთვის იქა ჰყოფდით ხელსა, მეორე თვალი კი ნიადაგ მძიმე ლოდებით სავსე რჩებოდა, ხალხის ცხოვრების სასწორს ყოველთვის თქვენი სიხარბე ამრუდებდა. და აი ხალხის ცხოვრებაში იმდენი ლოდი მოგროვდა, რომ ხურჯინის ორივე თვალი სულ ლოდებით გაივსო....

ბატონებო, მგონია, რომ ჩვენ ძლიერ ვსცდებით. ჩვენ გვინდა, გლეხ-კაცს ვუშველოთ და ის კი გაშტერებული და სულგანაბული დგას და არაფერ მონაწილეობას არ იღებს ამ საქმეში. ჩვენ რომ გლეხს შევაძლებინოთ, თავის ძირითად საჭიროებას თითონვე უშველოს და თითონ თავის ღონით ფეხზე დადგეს, საქმე გაცილებით უკეთ წავა და მაშინ ჩვენც, იქმნება, აღარ დაგვჭირდეს სადამობით წყლის ნაყვა, საჭირო აღარ იქმნება ერთმანერთს უსულო ციფრებით დავუმტკიცოთ, რომ გლეხ-კაცს არ შეუძლიან 2 მან. 50 კაპეიკად ცხოვრება.—გლეხ-კაცს ამდენი წმინდა შემოსავალი რჩება წლიურ გადასახადების გასტუმრების შემდეგ....

როცა დარბაზიდან გავდიოდი, ეს გრძელი ოთახი თამბაქოს ბოლის ხშირის ღრუბლებით ავსილიყო. ბოლის ღრუბელში საცოდავად იდგა თავ-ჩაღუნული ტყავ-გამძვრალი ცხენი.

ჩემი მეზობელი, მარცხენა მხარეს რომ იჯდა, იცვამდა თავის პალტოს.... და თან მეუბნებოდა:

მართლაც და ვინ ეშმაკმა იცის, რა არის ხალხის სული! ათასი თავში ქვა იხალო, მაინც ვერას გაიგებ იმისას...

დ. ფ.

წერილები ლონდონიდან

VIII

საადგილ-მამულო რეფორმა ირლანდიაში.—ამ რეფორმის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.—როგორ უცქერის ოპოზიცია ამ რეფორმას.—კლერიკალიზმი.—აგიტაცია იმის წინაამდეგ თან და თან ძლიერდება.—რაზე მოიკლა თავი გენერალმა მაკდონალდმა.

ირლანდია და ირლანდიის საქმე ინგლისის პოლიტიკისა და ცხოვრების გამუდმებული სენია. ირლანდიის საქმემ ორად გაჰყო ლიბერალური პარტია, ირლანდიელ ნაციონალისტებს არა ერთხელ აურ-დაურევიათ და მთლად აუწეწიათ ინგლისის შინაგან პოლიტიკის საქმეები. ეკონომიურად დაღუპული, არა ერთხელ სისხლით მორწყული და პოლიტიკურად სრულებით განადგურებული ირლანდია ინგლისის მთავრობას მუდამ საშინელ მაჯლაჯუნასავით ელანდებოდა და აფეთქებასა, რევოლიუციასა და ამოწყვეტას ემუქროდა. პიტიდანა და ველინგტონიდან მოკიდებული, კონსერვატორებიც სამაგიეროს უხდიდნენ ირლანდიელებს: სდევნიდნენ და სასტიკად სჯიდნენ. ლიბერალები კი ყოველთვის ცდილობდნენ როგორმე მოჰრიგებოდნენ ირლანდიას, იქაურ დამშეულ ხალხს ტანჯვას უსუბუქებდნენ და ამშვიდებდნენ.

მაგრამ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გაბედა ძირითადი რეფორმა მოეხდინა ირლანდიის ეკონომიურ და პოლიტიკურ იარების განსაკურნებლად. იქნება იმიტომ ვერა ჰბედავდნენ, რომ ტანჯვის ნამდვილი მიზეზი არ იცოდნენ?.. სრულებითაც არა!.. წარსულ საუკუნის დამდეგსვე იცოდნენ, რომ მიწათ-მოქმედების მიმდევარი ირლანდია ვერ დამშვიდდება, სინამ იქაურ ხალხს ცოტა მამულს მაინც არ მისცემენ და ირლანდიის ერს ეროვნულ პარლამენტსა და თვით-მმართველობას არ დაუბრუნებენ. მთავრობას ყოველთვის ესმოდა ესა, მაგრამ მიწის მფლობელ დიდ-კაცობას, რამდენიმე ათი-ათას ინგლისელ მოხელეს, პოლიციელს, მოსამართლეს და ოფიცერს, რომლებიც ირლანდიის ხარჯზე ცხოვრებდნენ და ეხლაც ცხოვრებენ, მეტად დიდი ძალა ჰქონდათ. ესენი ყოველთვის ადვილად არწმუ-

თესლი და მოთხოვნილებისამებრ სოფლის მეურნეთათვის მიეწოდებინათ. რადგან დროზედ თესლი ვერსად იქმნა შეძენილი, მებამბენი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ბევრნი სამეურნეო საზოგადოების საბჭოსაც სთხოვენ ბამბის თესლს.

◆ სამხედრო ოლქის განაჩენი კანტროლიორის **გედევანიშვილისა და კონდუქტორის სტურუას მოკვლის** საქმის შესახებ უმაღლეს სამხედრო სასამართლოს გაეგზავნა. იქვე გაუგზავნიათ საკასაციო საჩივარი კოლომინსა და სხვა ბრალდებულთ.

◆ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი** დაბრუნდა ტფილისს. ბ-ნი ზავადსკი ჩრდილოეთ კავკასიაში იყო ადგილობრივ სასწავლებელთა სარევიზიოდ.

◆ **დღეს, 12 საათზე, თავშესაფარების კომისია დაათვალიერებს ქალაქის ღამის ახალ თავშესაფარს.**

◆ **დღეს კრება ექნება ტფილისის ქალაქის გამგეობასა და კომისიას. კრებამ უნდა შეიმუშაოს სენატში გასაგზავნი საჩივარი ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოზე სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის გაუქმების გამო.**

◆ **ტფილისის ქალაქის გამგეობასა და სასწავლებელთა კომისიას დაუდგენია სააღდგომო საჩუქრები დაურიგოს ყოველ სკოლის მსახურს თითო მასწავლებელ ქალს (სკოლის გამგეს ერთ-ერთ თანაშემწეს). სკოლის გამგეებმა უნდა დაასახელონ ისინი, ვისაც საჩუქრები მიეცემა.**

◆ **ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად დანიშნული პობედიმოვი პირველ აპრილს შეუდგა თანამდებობის შესრულებას.**

◆ **25 მარტს გაგრაში, როგორც „ჩერნ. ვესტ"-ი გადმოგვცემს, გადამწვარა კლიმატიურ სადგურის სასადილოთ.**

◆ კერძო ვექილ ნიკოლოოზ ბოგოროდსკისთან იმის ნაცნობს, „კრიმის" ნომრების პატრონს გაუგზავნია რამდენიმე კაცი, რომელთაც უნდოდათ თავიანთი საქმე პალატაში ამ ვექილისთვის მიენდოთ. ეს კაცები წასულან ვექილის საძებნელად. როცა სახლთან მისულან, ეზოდან ვიღაც კაცი გამოსულა, რომელიც შეჰკითხებია, ვის ეძებთო. უთქვამთ—ბოგოროდსკისაო. უცნობს უპასუხნია, ბოგოროდსკი მე ვარო, მოჰრიგებია საქმის პალატაში დასაცავად და 50 მან. გამოურთმევია. ამ ცრუ ვექილს კლიენტები წაუყვანია პალატაში, საიდგანაც ისე გაპარულა, რომ იმის ასავალ-დასავალი ვერ გაუგიათ. კერძო ვექილმა ბოგოროდსკიმ ეს ამბავი შეატყობინა გუშინ პოლიცმეისტერს და სთხოვა ცრუ ვექილის აღმოჩენა.

◆ უკანასკნელ კვირის განმავლობაში საყასბოში დასაკლავად მიურეკიათ: ხარი—478, ხბო—96, კამეჩი—39, ცხვარი—81, ღორი—2, თხა—1, ბატკანი—527. წინა კვირაში ბატკანი ღირებულა 4 მ., ახლა-კი 5—7 მანეთამდე ღირს.

◆ მთა წმინდის ქუჩაზე მცხოვრებმა ბალდასარ თათოსოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემმა მოსამსახურე-ქალმა სოფიო ვართანოვმა მომპარა 30 მანეთის ნივთებიო. პოლიციამ სოფიო ვართანოვისა დააპატიმრა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მთავარმა სასტატისტიკო კომიტეტმა გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები შარშანდელ მოსავლის შესახებ. **1902** წელს რუსეთის **72** გუბერნიასა და ოლქში ნათესი ყოფილა სულ **76,6** მილიონი დესეტინა. მოსულა **4,108** მილიონი ფუთი სხვა-და-სხვა ხორბალი, წინა წელზე **1,062** ფუთით მეტი. საზოგადოდ შარშანდელი მოსავალი ხუთ წინა წლის მოსავალს აღემატებოდა. ორთაშუა რიცხვით თითო სულს ადამიანს შარშან **27** ფუთი შეჰხვდა.

◆ გზათა მინისტრმა აუკრძალა კერძო რკინის გზის გამგეობებს სათანადო მთავრობის ნება-დაურთველად გზის განსაკარგებლად და გასაძლიერებლად რამე ახალ საქმის დაწყება.

◆ სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მოღვაწეთა მესამე კრება პეტერბურგში დაიწყება 26 დეკემბერს და გასტანს 6 იანვრამდე. მოხსენებანი 15 ოქტომბრამდე უნდა გაიგზავნოს.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსებულმა სასოფლო-სამეურნეო საბჭომ ერთ თავის სხდომაზე საინტერესო საგანი განიხილა. იგი შეეხება მავნე მწერებთან ბრძოლას. როგორც ვუწყით, ნათესობას დიდ ზარალს აყენებს ესა თუ ის მწერი. ამ მწერებთან ბრძოლის საქმე დღევანდელ სოფლის მეურნეობის საჭირ-ბოროტო საქმეა. საბჭოს აზრით ამ მავნე მწერთან ბრძოლა ყველაზე ძნელი იმ გუბერნიებშია, სადაც ერობა არ არის შემოღებული: არ მოიპოვება იქ ისეთი ორგანო, რომელმაც ამ საქმეს გულ-დადებით მოჰკიდოს ხელი. საჭიროა, საბჭოს აზრით, დარიგებებისა და წიგნაკების გავრცელება ხალხში, აგრეთვე სპეციალისტ-ენტომოლოგთა და ინსტრუქტორთა რიცხვის გამრავლება. დასასრულ საბჭომ მოიწონა სოფლის მეურნეთა კრების აზრი სამეცნიერო კომიტეტის საენტომოლოგიო ბიუროს განყოფილებათა დაარსების შესახებ. სოფლის მეურნეთა კრებამ ასეთ ბიუროების დაარსება საჭიროდ სცნო: მოსკოვსა, კიევსა, ეკატერინოსლავსა, ოდესასა, სარატოვსა, ყაზანსა, ტფილისსა და ტაშკენტში.

◆ პეტერბურგის ადმინისტრაციის ოფიციალური განცხადება: 27 მარტს, ღამის 12 საათზე. მაკოკინის თავშესაფარის ღამის გამთევთ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას, როდესაც ეს უკანასკნელი თავ-შესაფარებს ათვალიერებდა და პასპორტებს სინჯავდა. რამწამს პოლიციამ პასპორტები მოითხოვა, ღამის გამთევთ იმ წამსვე ჩააქრეს ლამფები და დაიწყეს ყვირილი, ხმაურობა, ტახტებისა და ფანჯრების მტვრევა. დაიბარეს სხვა პოლიციელნი, ცხენოსანი და ქვეითნი, მაგრამ ღამის გამთევთ ამ დროს გატეხეს დიდი ლამფა და იატაკზე დაღვრილ ნავთს ცეცხლი წაუკიდეს. დროზე მოსულმა რაზმმა ცეცხლი ჩააქრო. ბოლოს პოლიციამ შეიპყრო უწესოების ჩამდენნი, **380** კაცი და დააპატიმრა, დანარჩენი **260** კაცი იქვე დასტოვა. დილის 4 საათზე, უწესოება იმავე მაკოკინის მეორე თავშესაფარში მოხდა; მაგრამ პოლიციამ მალე აღადგინა მშვიდობიანობა".

◆ **21** მარტს მოსკოვში გაიმართა საქველმოქმედო ბაზარი. ბაზარი ოთხი დღე იყო. შემოსულა სულ **103** ათასი მანეთი.

◆ პიატიგორსკში ადგილობრივ სამკურნალო წყლების გამგეობას განუზრახავს დიდის, ყოველ-დღიურ გაზეთის გამოცემა.

პრესსა

პირველი და მეორე ნომერი ახალ თათრულ გაზეთის „შარკი რუს"-ისა უკვე გამოვიდა.

> ჩვენი აზრია, ამბობს რედაქცია პირველ ნომერში, რამდენადაც ძალა და ღონე შეგვწევს, დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ ცოდნის გავრცელებას, აზრის განსპეტაკებას, ერთის სიტყვით, ცივილიზაციის დამკვიდრებას ერთ მორწმუნე ხალხთა შორის. ყველანი ვგრძნობთ და ვხედავთ, რომ განათლებული ხალხნი უფრო კარგად და ბედნიერად სცხოვრობენ, ვიდრე ჩვენ. ჩვენი სურვილია, კავკასიელმა მაჰმადიანებმაც ისევე კარგად და განათლებულად იცხოვრონ, როგორც ევროპის ხალხნი სცხოვრობენ. ეს სურვილი შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როდესაც გავიცნობთ განათლებულ ხალხთა ცხოვრებას, მივბაძავთ კარგში და გადმოვიღებთ ყველაფერს, რაც-კი გადმოღების ღირსია. ყველა ამისთვის-კი საჭიროა დღითი-დღე თვალ-ყური ვადევნოთ განათლებულთა ცხოვრებას. ჩვენი გაზეთი ეცდება, შეძლებისა და გვარად, ეს სამსახური გაუწიოს ხალხს. ვეცდებით გავაცნოთ ხალხს რუსეთისა და ევროპის არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება, არამედ განათლებულ ერთა ლიტერატურა, ფილოსოფია, ზნე-ჩვეულებანიც. ხალხის გაცნობა ერთის დანახვით ქუჩასა და მეიდანზე არ შეიძლება, საჭიროა კაცმა ჩაიხედოს იმათ ოჯახის ცხოვრებაში, გაიგოს იმათი სული და გული. ყველა ამას გარდა, ჩვენი გაზეთი დიდ ყურადღებას მიაქცევს რუსეთის ქვეშევრდომ მაჰმადიანებისა და აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებას და საჭიროებებს...

რედაქცია შემდეგ ამბობს, რომ მოუდგომელობას და სხვის რწმენის პატივისცემას ჩვენს დევიზად გავიხდითო. ამასთან რედაქცია იწვევს ყველას, ვისაც ხალხის სამსახური სწყურიან, ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო საგნის შესახებ თავის რწმენისა და შეხედულების გამოსათქმელად. „ერთად-ერთი ჩვენი პირობა პოლემიკის დროს, ამბობს დასასრულ რედაქცია, ის არის, რომ ყველა მწერალმა დაიცვას ზდილობა და სხვის პიროვნების პატივის ცემა".

გულით ვუსურვებთ წარმატებას ამ ახალ გაზეთს..

⁂

ამას წინად სასამართლომ კრონშტატში გაარჩია საქმე პოლიცმეისტრად ნამყოფის შაფროვისა. როგორც აღმოჩნდა, შაფროვს ათასი უწესოება, უსამართლობა და უკანონობა ჩაედინა თურმე. პოლიცმეისტერი ქრთამებს იღებდა, ხალხს უდიერად ექცეოდა, თვით ნებობდა და ძალმომრეობდა. ასეთი ამბავი რუსეთში არ ახალია, ძველია,—ამბობს „კიევსკაია გაზეთი".

> „მეტად უნუგეშო და უმწეო მდგომარეობაშია ჩვენი საზოგადოება,—განაგრძობს იგივ გაზეთი. თითქოს კანონებიც არის რუსეთში, მოხელენიც არიან, მაგრამ საზოგადოება მაინც დაჩაგრულ-დატანჯულია. რა არის მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ ჩვენში ყველაფერი ჩუმადა ხდება, რომ ამა თუ იმ ბოროტების გამომჟღავნება, გამოქვეყნება არ შეიძლება. მხოლოდ მაშინ მოისპობა ასეთი ბოროტ-მოქმედებანი, როდესაც საზოგადოებრივი კონტროლი გაჩნდება, როდესაც ხმის ამოღება და ამა თუ იმ საქმის გამომჟღავნება შესაძლებელი შეიქნება. პრესსის სამსახურიც ამ შემთხვევაში იქმნება დიდი და დაუფასებელი. უამისოდ ვერ ავიცდენთ თავიდან ისეთ ვაჟბატონების ოინებს, როგორნიც არიან პოლიცმეისტერი შაფროვი, ისპრავნიკი ბორკოვი, ბოქაულები პუჩკოვსკი და რომინოვი, ურიადნიკები ანდოსოვი და პოკროვსკი და მრავალნი სხვანი.

წერილი სამტრედიიდან

საკვირაო სკოლა და აქაური შეგირდ-ქარგლები.—სარევიზიო კომისია და კრება დაბის საქმეების გამო.—წარმოდგენა და ქურდები.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ აქ დაარსდა საკვირაო სკოლა. მაგრამ აქაურ ხელოსნებისა და ვაჭრების ქარგლებს, ნოქრებსა და შეგირდებს ეს სკოლა ბევრად ვერაფრად გამოადგებათ. იმათ საკვირაო სკოლისათვის კი არა, დასასვენებლადაც არა აქვთ დრო. აქაური ქარგლები და შეგირდები დღე-ღამეს 18—19 საათს მუშაობენ, კვირა-უქმეებში კიდევ დიდ დუქნებს ყარაულობენ. მეორე წლიდან შეგირდებს ხომ მეტი ჯაფაც აქვთ. კვირა-უქმე დღეებს გარდა, იმათ დიდ დღესასწაულებშიაც შეჰხვდებით წყლის პირას: უჭირავთ ხის დიდი კეტები და, რაც ძალი და ღონე აქვთ, უტყაპუნებენ დამბალ ტყავებს. ამ გვარად შრომაში გართულს ვინ მოაცლის საკვირაო სკოლისათვის! აქაურმა ხელოსნებმა და ვაჭრებმა სწავ-

---

ნებდენ წვრილ და მსხვილ ვაჭრებს და მრეწველებს: თუ თვით-მმართველობა მიეცა, მაშინ ირლანდია დიდ მოცილეობას გაუწევს და სულაც გააქრობს ინგლისის ვაჭრობასაო; პროტესტანტის ყოველ ნაირ ეკლესიების გაუგებარ და ფარისეველ მრევლს კიდევ არწმუნებდნენ, კათოლიკე სარწმუნოების ირლანდიას რომ თვით-მმართველობა მიეცეს, ირლანდიაში რომის პაპი გაბატონდება და მერე საფრანგეთიც შემოესევაო. ამ მრეწველ კლასსა და სამღვდელოებას კი დიდი ძალა აქვთ ინგლისში: ინგლისის გამგეობა და ბედი სულ ამათ ხელშია. მაგრამ ეს ხომ მთელ ქვეყნიერობაზედაც ასეა.

რადა თქმა უნდა, რომ ვინც კი ეცადა ირლანდიის შველასა და ამ დაჩაგრულ ქვეყანაში რეფორმების შემოღებას, ეს მმართველი კლასები ყველას მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და ყველა რეფორმებს ამხობდნენ. გამარჯვებულ მტაცებელთა ხელში ყოფნა და პოლიტიკურ უფლებათა უქონლობა ირლანდიის სამუდამო ხვედრი შეიქნებოდა, იქაურ ხალხს რომ საკმაო მხნეობა არ გამოეჩინა და დევნილ ერში თავ-დადებული და თავ-განწირული მებრძოლნი არ გამოსულიყვნენ დათრგუნულ უფლებათა დასაცველად. მე XVIII საუკუნის დასასრულიდან **1882** წლამდე ირლანდია ოთხჯერ აჯანყდა და ოთხჯერვე სულ სხვა-და-სხვა ბრძოლის ხერხსა და საშუალებას ხმარობდა: ხან შეიარაღებული რაზმები გამოჰყავნდა, ხან საიდუმლო შეთქმულობას ჰმართავდა და ლენდ-ლორდებისა და მოხელეების ხოცვას იწყებდა და ამით შიშის ზარსა სცემდა მთავრობას; ხან კიდევ ფენიები და ეროვნული საადგილ-მამულო ლიგა ცეცხლს უკიდებდნენ სხვა-და-სხვა შენობებს.

ირლანდიელები ისე მხნედ იცავდნენ თავიანთ დათრგუნულ უფლებას, რომ თვით ინგლისის მოწინავე განათლებულ საზოგადოების თანაგრძნობა მოიპოვეს და ბოლოს წარსულ საუკუნის უდიდესი სახელმწიფო კაცი გლადსტონი დაჩაგრულ და ტანჯულ ირლანდიის საადგილ-მამულო და პოლიტიკურ საქმის მოწყობას შეუდგა. თავდაპირველად გლადსტონმა თავისი საადგილ-მამულო რეფორმის მოხდენა მოინდომა: მამულის სავალდებულო და სახელმწიფო ხარჯით გამოსყიდვა განიზრახა. გამოაცხადა თუ არა გლადსტონმა თავისი აზრი, ზემოხსენებულმა ანგარებით სავსე კლასებმა მორთეს ყვირილი და ყველას არწმუნებდნენ, ლორდების მამულების გამოსყიდვა ინგლისის დაღუპვას მოასწავებსო. გლადსტონის განზრახვით სამ მილიონ გლეხ-კაცს მამული უნდა მისცემოდა.—რა ლოღიკის ძალით და როგორ დაჰღუპავდა ეს ინგლისს, ამას აღარავინ ჰხსნიდა, მაგრამ მქონებელ და მმართველ კლასების უმეტესობა დაუღალავად და ერთ-თავად მაინც სულ ამას გაიძახოდა. გლადსტონმა, მეტი ჩარა არ იყო, მარტო თავისი განთქმული კანონი იჯარის შესახებ დაამტკიცებინა პარლამენტს. ამ კანონის ძალით მამულის იჯარის ფასის რაოდენობა და იმისი მომატება სასამართლომ და მცოდნე ხალხმა (ექსპერტებმა) უნდა დაამტკიცონ.

გლადსტონმა პოლიტიკურ რეფორმის მოხდენაც განიზრახა და შეასრულა, რაც პარნელსა და ეროვნულ ლიგას აღუთქვა. ამ აღთქმის ძალით გლადსტონი მოვალე იყო ირლანდიის თვით-მმართველობა და ავტონომია მოეთხოვა პარლამენტისათვის, თუ რომ ლიგა აფეთქებასა და საგრარო მკვლელობაზე ხელს აიღებდა. გლადსტონმა პარლამენტს წარუდგინა თავისი განთქმული კანონ-პროექტი ჰომრულზე. მთელმა ქვეყანამ იცის, დიდებული მოხუცი რანაირის თავგამოდებით იცავდა პარლამენტში ირლანდიის თვით-მმართველობას,—კანონ-პროექტი რომ წარადგინა, სრული ექვსი საათი განუწყვეტლივ ილაპარაკა;—იმის მეცადინეობას გარკორტი, მორლეი და სხვა განათლებული და ნიჭიერი სახელმწიფო კაცებიც უჭერდნენ მხარსა, მერე ლიბერალურ პარტიაში განხეთქილება მოხდა და გლადსტონის სამინისტრო თავისის პროექტით დაეცა.

— ირლანდიის თვით-მმართველობა—ინგლისის განაწილებასა და დაღუპვას ჰნიშნავსო!—ჰყვიროდნენ კონსერვატორები და გადამდგარი ლიბერალები (ეხლანდელი უნიონისტები თავიანთ მეთაურის ჩემბერლენით). —მამულების გამოსყიდვა და მერე ისიც სავალდებულო და სახელმწიფო ხარჯით—საკუთრების ნაკურთხ უფლების დამხობააო!—უმატებდნენ ერთხმად კლერიკალები, ფინანსისტები და მოხელეები... ამ უკანასკნელ ათ წელიწადში, ნამეტნავად უკანასკნელ რვა წელიწადში (სოლსბერი-ჩემბერლენ-ბალფურის სამინისტროს დროს) ჰომრულს და სახელმწიფო ხარჯით მამულების გამოსყიდვას სიგიჟედა სთვლიდნენ და ამ რეფორმის მომხრეებსაც თითქმის ინგლისის მოღალატეებადა სთვლიდნენ. გლადსტონის სამინისტროსაგან და ჯონ მორლეის პატიოსან მმართველობით დამშვიდებულ ირლანდიას ისევ დევნა დაუწყეს; ირლანდიელ დეპუტატებს დუჟინობით ციხეში ჰყრიდნენ; საგანგებო ჯაშუშ-პროვოკატორებმა (ნამეტნავად განთქმულმა პოლიციის კომისარმა შერიდანმა) საგრარო ბოროტ-მოქმედებას მიჰყვეს ხელი და ყველა ამას მარტო იმ აზრით ჩადიოდნენ, რომ კონსერვატიული უმეტესობა დაერწმუნებინათ, ირლანდიის რეფორმებზე ლაპარაკი ნამდვილი ღალატია ინგლისისაო.

მერე კი სამინისტრომ უცებ მთლად შეიცვალა აზრი და პოლიტიკა. ბალფურ-ჩემბერლენის სამინისტროს პარლამენტში შეაქვს კანონ-პროექტი ირლანდიის მამულების სავალდებულო, სახელმწიფოდ შესყიდვის თაობაზე და გადაკვრით იმასაც აცხადებს, რომ მალე ირლანდიის თვით-მართველობის პროექტსაც წარმოვადგენთო.

რას ჰნიშნავს ესა? რა მიზეზია, რომ იმათ, ვინც მუდამ ირლანდიის მტრები იყვნენ და გლადსტონი და იმისი სამინისტრო სწორედ ამ კანონების გულისათვის დაამხეს, ეხლა თითონვე მოჰკიდეს ხელი ამ კანონებს? ეს ძლიერ ადვილი გასაგებია. წინად ეროვნულ აზრს ირლანდიის ერის დაუღალავი და თავგანწირული უმცირესობა უჭერდა მხარსა, ეხლა-კი ამ აზრმა მეტად ღრმად გაიდგა ფესვი ხალხში და მთელს ირლანდიას მოედო. ირლანდიის ხალხი რომ არ დაეკმაყოფილებინა, მაშინ მთავრობა უსათუოდ მოსალოდნელ აჯანყების დასათრგუნავადაც უნდა მომზადებულიყო და საზარელი სისხლის ღვრა მოეხდინა. ამ საქმისათვის-კი ტრანსვაალის ომის შემდეგ აღარც ფული აქვს და აღარც ჯარი ჰყავს. ამიტომ ძალა-უნებურად ირლანდიელებს დაუთმო.

ლონდონელი

(დასასრული იქნება)

და-განათლებისა არა უწყიან-რა, გარდა თითო ორ-ოლა „საყველ-შურო" წერა-კითხვის მცოდნისა. კარგი იქმნება, კვირა-უქმეობით დუქნები დაკეტონ, რომ ნოქრებმა და შეგირდებმა შესძლონ დასვენება და საკვირაო სკოლაში სიარული.

იმ სარევიზიო კომისიამ, რომელსაც 20 დღის განმავლობაში უნდა გამოერკვია 1892 წლიდან 1903 წლამდის დაბის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, დროზე ვერ გაათავა მუშაობა და ამას წინად ითხოვა კიდევ ორის თვის ვადა. გუშინ, 23 მარტს, ბ-ნ მაისურაძის განკარგულებით მოხდა კრება. ამ კრებამ შემდეგი საქმეებიც დაავალა სარევიზიო კომისიას: 1) გამოარკვიოს საქმე ხოლერობის დროს აგებულ თავ-შესაფარისისა და იქ მოთავსებულ 40 კრაოტისა თავის ლოგინოთურთ; საზოგადოებამ დღესაც არ იცის, რა იქმნა ამ თავ-შესაფარის მასალა, კრაოტები და ლოგინი, 2) დაბის ქუჩების შეკეთება დაევალოს ადგილის პატრონთ. ამ საქმემ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მეორე კრება ხარებას, 25 მარტს მოხდა. კრებამ ერთ ხმად გაამეორა ქუჩების შეკეთების საქმე. განაჩენი დაადგინა, რომლის ძალითაც თვის მამულის წინ ქუჩა უნდა გააკეთოს ყველამ, გარდა გაჭირვებულ ქვრივ-ობლებისა; ამათთვის უნდა იზრუნონ მეზობლებმა. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, იმან უნდა გადაიხადოს ჯარიმად 10 მანეთი და გზაც უნდა შეაკეთოს.

ბოქაულმა მაისურაძემ განიძრახა აქ თეატრისათვის შენობის დაქირავება. მაისურაძემ კიდეც აიღო სახლი და პატრონს ქირაზედაც მოურიგდა (წელიწადში 300 მან). მხოლოდ საჭიროა გადაკეთება. იმედი გვაქვს ბ-ნი მაისურაძე ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

26 მარტს აქაურ რკინის გზის თეატრში ქუთაისის სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „კინტო" და „ორი მშიერი". კარგა ხანია, რაც აქაურებს ქართული წარმოდგენა აღარ ეღირსებიათ. წარმოდგენას არა უშავდა რა.

ამას წინად აქაურს მეეტლეს მ. შენგელიას ღამე მოჰპარეს 2 ცხენი. ბოქაულმა ცხენები უკვე აღმოაჩინა ნაქალაქევში.

25 მარტს, საღამოთი, ზამთარაძის ქვრივი (30 წლ.) მძიმედ დასჭრა დანით იგ. ძაძამიამ (16-17 წ.)

სანდრო.

დაბა-სოფლები

ალაგირი. (თერგის ოლქი). როგორც იყო გვეღირსა გაზაფხული. დადგა თუ არა მარტი, დაიჭირა მშვენიერი დღეები. ხალხი სამუშაოდ გავიდა მინდვრად; ბაღებშიაც შეუდგნენ მუშაობის თავდარიგს. მომეტებულს ნაწილად ადგილობრივი ქართველები სთესავენ სიმინდს, კარტოფილს და ლობიოს. ამ ქართველებს საკუთარი მიწა არა აქვთ და იჯარით უნდა აიღონ აქაურ მცხოვრებთაგან დესეტინა 10—12 მან. სათიბის იჯარაც დესეტინა 5—7 მანეთია. თვითეულმა გლეხმა უნდა აიღოს იჯარით სულ ცოტა 6—7 დესეტინა მაინც. მაშასადამე საიჯარო ფასი 67—70 მანეთი მოდის.

ალაგირელი.

დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

1 აპრილი.

მოსკოვი. მათ უდიდებულესობათ გუშინ დაათვალიერეს სასახლეში სტროგონოვის სასწავლებლის მუშაობა; ლოცვა ჯვართ-ამაღლების ეკლესიაში მოისმინეს კრემლში; დღეს წირვა მოისმინეს ღვთის მშობლის დაბადების ეკლესიაში.

მარსელი. ღამის 11 საათზე გემით „ჟანნა დ'არკ" ლუბე გავიდა მარსელიდან.

მადრიდი. ბარსელონის კრებაზე შეიკრიბა 20 ათასი კაცი. დაადგინეს, ყველა რესპუბლიკელთ საერთო დასი შეადგინონ სალმერონის ხელ-მძღვანელობით.

სოფია. სათადარიგო ჯარის-კაცნი კიუსტენდილის ოლქისა სამზღვრებზე გაგზავნეს.

— მაკედონიიდან იტყობინებიან, რომ აჯანყებულები სოფლებს იკლებენ.

— საერთო კრებაზე დანევს შეეკითხნენ, რამ გამოიწვია უკანასკნელი კრიზისი და ამანაც განმარტა: ჩემი კაბინეტი გადადგა სამსახურიდან იმიტომ, რომ საზოგადო მიმართულება ჩემის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო და მეც დავუთმე მთავარს, თავისუფლად გამოეთქვა თავის აზრი.

მოსკოვი. მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი მთავარანგელოზის მონასტრის უძველეს ეკლესიაში იყვნენ. მონასტრის გზაში მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ ჯვრითა და წმ. წყლით მოსკოვის მიტროპოლიტი და არხიმანდრიტები ბერ-მონაზვნებითა. შემდეგ მათი უდიდებულესობანი ჩავიდნენ აკლდამაში, სადაც წმ. ალექსის საფლავისა და პატრიარქის გერმოგენის საპყრობილის ადგილი ჰნახეს, აგრეთვე მიტროპოლიტის სახლი დაათვალიერეს.

სარატოვი. სარატოვის თავად-აზნაურობამ ფინანსთა სამინისტროსაგან მიიღო 250 ათასი მანეთი საურთიერთო დამხმარე კასისათვის.

მარსელი. სავაჭრო პალატაში ლუბეს პატივსაცემლად ნადიმი გადაიხადეს; მერე პრეზიდენტი საგიმნასტიკო საზოგადოებათა ვარჯიშობას დაესწრო.

ათინა. გერმანიის მემკვიდრე-პრინცი და პრინც ეიტელ-ფრიდრიხი გუშინ საღამოს გავიდნენ აქედან.

ტანჟერი. სულთანმა ყველა ევროპიელი დაითხოვა სხვა-და-სხვა თანამდებობაზე იმისაგანვე წინად დანიშნული, გარდა ორი კაცისა—ერთი ყაიდ მაკლინისა და მეორეც—ექიმ ვერდონისა.

ბრესტი. საღამოს კლერიკალთა საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაუმართეს იმ კათოლიკეებს, რომელნიც აქ კონგრესზე შეიკრიბნენ. პოლიციამ რამდენჯერმე განფანტა ხალხი. რამდენიმე პოლიციელი დაშავდა.

კონსტანტინეპოლი. დღეს აქ დაარსდა საზოგადოება, რომელმაც ბაღდადისაკენ რკინის გზა უნდა გაიყვანოს. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია „დოიჩე ბანკი"-ს დირექტორი გვინერი, თავმჯდომარის ამხანაგად—ვერგი ოტომანის ბანკიდან.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო"-ს კონსტანტინეპოლიდან ატყობინებენ, რომ ბაღდადის რკინის გზის ახლად დაარსებულს საზოგადოებას ძირითადი თანხა აქვს 15 მილიონი ფრანკი.

კელნი. გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ"-ს კონსტანტინეპოლიდან ატყობინებენ, რომ მაკედონიასა, სტარო სერბიასა და ალბანიაში ოსმალეთის ჯარების მოქმედებისათვის თვალ-ყურის სადევნებლად ინგლისელ ოფიცრების დანიშვნას აქ არ იწონებენ; ამის მაგიერ განიზრახეს სამხედრო აგენტები გაგზავნონ იქით. ჯერ არ იციან, რა განზრახვით უფიქრნიათ ასე. პორტასათვის ჯერ არ უცნობებიათ ოფიციალურად ეს ამბავი.

2 აპრილი

მოსკოვი. 1 აპრილს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ჯვართ ამაღლების ეკლესიაში კრემლში მწუხრი მოისმინეს.

კოვნო. გლეხთა საოჯახო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ საშუალებებს ენერგიულად ახორციელებენ. გუბერნატორის განკარგულებით გუბერნიის ხალხის გამოსაკვები თანხით შიდა გუბერნიებში 200 ვაგონი ხორბალი იყიდეს. ამ ხორბალს შუამავლები ანაწილებენ. სიღატაკე არც ძალიან გამწვავებულია. კარგის ხარისხის ხორბალი განაახლებს ადგილობრივ სათესლეს.

ჩერნიგოვი. კონსულ შჩერბინას გვამს ჩერნიგოვს მოასვენებენ დასასაფლავებლად. ემზადებიან დასახვედრად.

კონსტანტინეპოლი. „დონეცი" სალონიკს გაემგზავრა შჩერბინას გვამის გადმოსატანად.

სოფია. საერთო კრება დაიხურა. დახურვის ბრძანება წაკითხულ იქმნა მინისტრ-პრეზიდენტის მიერ, რადგანაც მთავარი იქ არ იყო. კრებამ ვერ მოასწრო თავის აზრის გამოთქმა ზოგიერთ საგულისხმიერო კანონ-პროექტის შესახებ. სხვათა შორის ტრავნის რკინის გზის, ქვეშემრდომობის და სამხედრო ინსპექტორის თანამდებობის დაარსების შესახებ.

— სამხედრო მინისტრი დაბრუნდა რილის მონასტრის მახლობლად მოგზაურობიდან, სადაც ის იყო წასული საზღვრის დასათვალიერებლად.

ალჟირი. მოვიდნენ იტალიის და ავსტრიის ესკადრები.

ვენა. ხელმწიფე ფრანც-იოსებმა მისცა მინისტრ-პრეზიდენტს კერბერს წმ. სტეფანეს ორდენი.

პეკინი. ორმოცდაათ გერმანელს და ამდენსავე ავსტრიელ სალდათს ტრაქტირში ბაასი მოუხდათ. ბაასი შემდეგ ჩხუბათ გადაექცათ. მოჩხუბარნი ეცნენ ერთმანეთს ჯოხებით, დანებით და სხვა იარაღით. ჩინელთა ბრბო შორიდან უცქეროდა ამ თავ-შორის მტრობას. გერმანელ ჯარის კაცთა როტამ და ავსტრიელმა პატრულმა გააშველეს მოჩხუბარნი. ბევრი ამ ჩხუბის ნამონაწილე ჰოსპიტალში გაგზავნეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებშიკი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 8 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 გ. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის, № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ცინკოგრაფია
ტფილ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათიდან და ხელით ნახატიდან.

ჩამოტანილია ტფილისში ამხანაგობა «შრომის» სანერგეებიდან
ხეხილები
1—3 წლისა უცხოეთის და ადგილობრივ ჯიშისა.
მიჰმართეთ აფრიანიანცს მელიქ-ბახტამიანცის მაღაზიაში, სადაც ამ ხეხილების აწყობია. (10—8)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქუჩ. სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ იბარებს. (0—15)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში
იყიდება 1903 წლის
კალენდრები
1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.
შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორისმელიქოვის ქუჩა.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს"
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. იგ. ნათაძეს. (ე. 0—10)

საყურადღებო განცხადება
თუმცა პასკებს ბევრნი აცხობენ, მაგრამ ჯერ ბევრს არა აქვს შესწავლული ნამდვილი ხელოვნება პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამოც მყიდველი ხშირად სტყუვდება; ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ
არ. ივ. ალიხანოვის
საკანდიტეროში
(ვარანცოვის ძეგლთან)
სააღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და კულიჩები.
ჩემს სახელოსნოში პასკები საუკეთესო მასალისაგან კეთდება და ყოველთვის საუკეთესო გემოვნება აქვს, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძრიელ ადვილად დარწმუნდება; გთხოვთ არ დაუჯეროთ არავის, მარტო ჩემ საკანდიტროში იშოვება ჩემი პასკები და არსად გასასყიდად არ ვაძლევ.
Дрожжевой заводъ К. ШУРЪ.
პატივისცემით არ. ივ. ალიხანოვი.
ტელეფონი № 276.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ).
ტელეფონი № 741.
აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.
ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—18)

Дозв. ценз. Тифлисъ, 2 апрѣля, 1903 г.
ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)